ხელშეკრულება № 62

5 აგვისტო 2016წ.

ქ. თბილისი

ერთის მხრივ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, წარმოდგენილი მისი პრეზიდენტის ლევან კობიაშვილის სახით (შემდგომში შემსრულებელი), ხოლო მეორეს მხრივ შპს საფეხბურთო კლუბი ზუგდიდი № 220370738 წარმოდგენილი მისი დირექტორის გელა ინალიშვილის სახით, (შემდგომში "დამკვეთი"), ვთანხმდებით წინამდებარე ხელშეკრულების ტექსტზე შემდეგი პირობებით:

1. . ხელშეკრულების საგანი, ფასი და დრო

1.1.წინამდებარე ხელშეკრულების თანახმად, დამკვეთის მითითების საფუძველზე შემსრულებელი გაწევს შემდეგ მომსახურებას: ზედა ეწერში მდებარე სტადიონზე მინდვრის საფარის მიწის სამუშაოების კერძოდ (აერატორ-სკარიფიკატორი).
1.2.შემსრულებელი დამკვეთის დავალებას შეასრულებს 2016 წლის 5 აგვისტოდან 2016 წლის 10 აგვისტომდე.
1.3. შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება შეადგენს 780 (შვიდას ოთხმოცი) ლარს.
1.4.გადახდა იწარმოებს ნაღდი/უნაღდო ანგარიშსწორებით სს„ვითიბი ბანკი ჯორჯია„ ანგ. GE14VT6600002625883608 არა უგვიანეს 2016 წლის 15 სექტემბრისა.

2 მხარეთა უფლება – მოვალეობები

2.1. შემსრულებელი ვალდებულია:
2.1.1. კეთილსინდისიერად შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები;
2.1.2.გაუწიოს დამკვეთს ხარისხიანი მომსახურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
2.1.3.გაეცნოს შეკვეთის სპეციფიკას და განუხრელად შეასრულოს დამკვეთის მითითებები ასეთის არსებობის შემთხვევაში;
2.1.4. უხარისხოდ შესრულებული სამუშაოსთვის შემსრულებელი საკუთარი ხარჯებით აგებს პასუხს დამკვეთის წინაშე.
2.2. დამკვეთი ვალდებულია:
2.2.1. აწარმოოს ანგარიშსწორება ხელშეკრულების 1-ი მუხლის 1.3. შესაბამისად.

3 მხარეთა პასუხისმგებლობა

მხარეები წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

4.დასკვნითი დებულებები

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე;

4.2. სამუშაო დასრულებულად ითვლება მიღება –ჩაბარების აქტის წარმოდგენის შემდგომ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მოაწერს გიორგი რევაზიშვილი.

4.3. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა გადაწყდება მხარეთა შეთანხმებით. წინააღმდეგ შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

4.4. ნებისმიერ ცვლილებას თუ დამატებას ძალა აქვს მხოლოდ მაშინ თუ იგი შედგენილია წერილობით და ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

4.5. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლიარად;

5 მხარეთა ხელმოწერები

შემსრულებელი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია
პრეზიდენტი ლევან კობაძაშვილი

დამკვეთი

შპს საფეხბურთო კლუბი ზუგდიდი
დირექტორი გელა ინანიშვილი